ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.03.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №024/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. რ.-ის /სიითი №..../ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. რ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 07 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. რ.-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის 12 დეკემბერს, რ. რ. იყო მისი წარმომადგენელი საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში, რისთვისაც მან გადაიხადა ჰონორარი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, რ. რ.-მ შეიტანა საქალაქო სასამართლოში შეგებებული სარჩელი, რომელიც არ მიიღეს წარმოებაში რიგი გარემოებების გამო, ასევე მისი დაჟინებული მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოში მოახდინა ამ განჩინების გასაჩივრება. ადვოკატმა საჩივარი 2 (ორი) დღის ვადის დარღვევით შეგნებულად შეიტანა სასამართლოში,

რადგან მოსამართლეს განუხილველად დაეტოვებინა საქმე ვადის დარღვევის გამო და სახელმწიფო ბაჟი მიესაკუთრებინა, ამასთან, მისთვის ეთქვა, რომ ბაჟი ვერ დაბრუნდებოდა საქმის განუხილველად დატოვების გამო. საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ეჭვის გაჩენის შემდეგ პირადად ჩაერთო აღნიშნულ საქმეში, ეჭვები გაუმართლდა და აღმოჩნდა, რომ ადვოკატ რ. რ.-ს არ ჰქონდა გადახდილი ბაჟი 150 (ას ორმოცდაათი) ლარი და საქმეც არაკეთილსინდისიერად შეასრულა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, გადახდილი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ფარგლებში არცერთი სხდომა არ ჩატარებულა, ადვოკატმა ვერც შეგებებული სარჩელი დაწერა და მათ შორის სიტყვიერი შეთანხმებით გათვალისწინებული არც ერთი პირობა არ შეასრულა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი რ. რ. საქმეს არაკეთილსინდისიერად მიუდგა, რაც გამოიხატა განჩინების გასაჩივრების ვადის დარღვევაში, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობაში და აღნიშნული თანხის მითვისებაში. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ ყველაფრის გამო ის იძულებული გახდა, შეეწყვიტა ადვოკატის წარმომადგენლობა აღნიშნულ საქმეში.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის თავის ახლობელთან ერთად შეხვდა რ. რ.-ს და შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი დაუბრუნებდა საადვოკატო მომსახურების თანხას და ამისთვის მოითხოვა ერთი თვე, თანხა უნდა დაებრუნებინა 25 თებერვალს, მაგრამ ეს მან არ შეასრულა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით ის ფაქტი, რომ მან რ. რ.-ის მშობლების ნომრები მოიპოვა უკანონოდ სიცრუეა. ის განმარტავს, რომ მისი მშობლების პირადი მონაცემები გადასცა თავად რ. რ.-მ, რადგან დედის ანგარიშზე ჩაერიცხა ბაჟის თანხა და შესაბამისად აქედან იცოდა მისი დედის ვინაობა, ამის შემდეგ კი სოციალური ქსელით მოახდინა მისი იდენტიფიცირება, სადაც მითითებული ჰქონდა სამუშაო ადგილი და დაურეკა სამსახურში, დაუტოვა საკონტაქტო ტელეფონი და ადვოკატის დედა თავად დაუკავშირდა, მისი განმარტებით ანალოგიურად მოახდინა მამის იდენტიფიცირება და მასთან საუბარი.

1.8 2018 წლის 30 აპრილს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მას უკვე ჰქონდა იურიდიული მომსახურების თანხა გადახდილი შპს „...“-თვის და ადვოკატ რ. რ.-ს მისგან სხვა ჰონორარი არ უნდა მიეღო.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა რ. რ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა- განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მ. ა.-ს მიმართ სასამართლოში მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა. ამ დავაში მას მ. ა.-სათვის მომსახურება უნდა გაეწია უფასოდ, რადგან მას უკვე ჰქონდა რესურსი დახარჯული ამ საქმეზე. თუმცა კლიენტმა მოითხოვა მას სასამართლოსათვის მიემართა

შეგებებული სარჩელით. ადვოკატის განმარტებით, შეგებებული სარჩელის აღძვრის საჭიროების არ არსებობაზე მიუთითა მ. ა.-ს, თუმცა კლიენტი ამას დაჟინებით ითხოვდა, ამბობდა, რომ პრინციპულად სურდა შეგებებული სარჩელით მიმართვა სასამართლოსთვის, რის გამოც ის დათანხმდა და ჰონორარის სახით ამ მომსახურებისათის მისგან აიღო 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, განჩინების ვადის დარღვევას რაც შეეხება, თავად სასამართლოს მოხელემ განუმარტა, რომ 1-2 იანვარი რადგან არასამუშაო დღეები იყო, 13 იანვრამდე შეეძლო შეეტანა კერძო საჩივარი. საჩივარი შეიტანა 11 იანვარს და ამიტომაც მისთვის გაურკვეველია მოსამართლის განჩინება. მისი განმარტებით, მას არ უთქვამს მ. ა.-სთვის, რომ მის მიერ გადახდილი ბაჟი არ ბრუნდებოდა, მან ეს თანხა მ. ა.-ს ჩაურიცხა საჩივრის შემოტანამდე 7 დღით ადრე, 28 თებერვალს.

2.3 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 07 ივნისს ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მან შესთავაზა საჩივრის ავტორს, რომ იგივე ბაჟის თანხით თავიდან შეიტანდა შეგებებულ სარჩელს, რომელშიც გაითვალისწინებდა მოსამართლის შენიშვნებს და თავიდან დაამუშავებდა მოთხოვნას. ამ ყველაფერზე მ. ა. მას დათანხმდა, თუმცა შემდეგ მის მომსახურებაზე უარი განაცხადა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მ. ა.-მ დაურეკა ვითომდა თავის საქმესთან დაკავშირებით და სთხოვა შეხვედრა. ადვოკატი მასთან შესახვედრად მესამე პირთან ერთად წავიდა. შეხვედრის დროს მ. ა.-ს მოაკითხა ავტომანქანამ და ადვოკატს სთხოვა მანქანაში ჩაჯდომა, ადვოკატის განმარტებით ის ჩაჯდა მანქანაში თავის თანმხლებთან ერთად. პიროვნება, რომელმაც მოაკითხა მ. ა.-ს, გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, თანამდებობა მისთვის დაუდგენელია. ადვოკატის განმარტებით, მ. ა. და აღნიშნული პიროვნება მასზე ახდენდნენ ზეწოლას და სთხოვდნენ მისი კუთვნილი ჰონორარის უკან დაბრუნებას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მ. ა.-მ სავარაუდოდ იმ პირის მეშვეობით, რომელიც ახლდა მასთან შეხვედრის დროს, უკანონოდ მოიპოვა მისი ოჯახის წევრების (დედა და მამის) შესახებ პირადი ინფორმაცია, მ. ა. ურეკავდა მათ, ამ მოქმედებით ის მასზე ახდენდა ზეწოლას და შანტაჟს, რომ დაებრუნებინა თანხა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მასზე განხორციელდა ზეწოლა და პროფესიულ საქმიანობაში უხეში ჩარევა, მისი განმარტებით, მას არ დაურღვევია ეთიკის კოდექსის არც ერთი ნორმა და მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხა მას ეკუთვნის.

II სამოტივაციო ნაწილი

3. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი რ. რ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი, ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.“

3.2 მ. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 07 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მისი საქმე აწარმოა არაკეთილსინდისიერად, შეაფერხა საქმის მსვლელობა, დაარღვია განჩინების გასაჩივრების ვადა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ რ. რ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

5.3 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენებით,

კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად.

5.4 ეთიკის კომისიამ კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

5.5 ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ “ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.“

5.6 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ რ. რ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2017 წელს. ნიშანდობლივია მომჩივანსა და ადვოკატს შორის შეთანხმების საგანი და მისი ფარგლები, რომლის ირგვლივაც საპროცესო კოლეგიაში მიღებული ინფორმაციებითა და დოკუმენტებით ჩანს, რომ ადვოკატის მიერ ზოგადად განხორციელებულია იურიდიული (საადვოკატო) მოქმედებები, რომელიც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული. ადვოკატმა რ. რ.-მ, როგორც მ. ა.-ს წარმომადგენელმა, 2017 წლის 19 დეკემბერს შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქმეზე N2/XXXXX-16 მას უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის მიღებაზე. შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა იურიდიული ინტერესის დაუსაბუთებლობა და არა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა - რომელზეც აპელირება გააკეთა საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის სხდომაზე. ადვოკატმა რ. რ.-მ საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რომელიც სასამართლომ 2018 წლის 26 იანვრის განჩინებით განუხილველად დატოვა, რადგან საჩივარი სასამართლოში შევიდა კერძო საჩივრის გასაჩივრების 12 დღიანი ვადის დარღვევით. კოლეგია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ ადვოკატის რ. რ.-მ არასწორად გამოთვალა კერძო საჩივრის გასაჩივრების ვადა, თუმცა მის ამ შეცდომას არ გამოუწვევია რაიმე სახის ზიანი - მ. ა.-ს სასამართლოსათვის შეგებებული სარჩელით მიმართვა კვლავ შეეძლო, თუმცა მან შეწყვიტა ადვოკატ რ. რ.-სთან ურთიერთობა, უნდობლობის საფუძვლით.

5.7 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ რ. რ.-ის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები მიმართული იყო მ. ა.-ს ინტერესის სასარგებლოდ, შესაბამისად, ადვოკატს გაწეული საადვოკატო მომსახურებით არ დაურღვევია საქმის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმოების ეთიკური ვალდებულება.

5.8 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატი არ უბრუნებს საადვოკატო მომსახურენისათვის გადახდილ თანხას 250 (ორას ორმოცდაათ) ლარს და სახელმწიფო ბაჟის სახით მიცემულ თანხას 150 (ას ორმოცდაათ) ლარს, იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

5.9 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

5.10 კოლეგიის შეფასებით, მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა მ. ა.-საგან მომსახურების საფასურის სახით მიიღო 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი. მხარეები სადავოდ ხდიან ბაჟის თანხის საჩივრის ავტორისათვის დაბრუნების ფაქტს. მ. ა. განმარტავს, რომ ადვოკატმა მისი ბაჟის თანხა ,,მიითვისა“, ხოლო ადვოკატი განმარტავს, რომ ეს თანხა

მან კლიენტს დაუბრუნა. კოლეგიის შეფასებით, ბაჟის სახით ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, რომელიც გამოიყენა დანიშნულებისამებრ. აღნიშნული თანხა რ. რ.-მ კლიენტს ჩაურიცხა 2018 წლის 28 თებერვალს (თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი). ამ კუთხით საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას საჩივრის შემოტანისას მოაწოდა არასწორი ინფორმაცია.

5.11 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხის ფარგლებში მ. ა.-ს მოუმზადა შეგებებული სარჩელი. სასამართლოს განჩინება აღნიშნული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე ადვოკატმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მის მიერ განხორციელებულია იურიდიული მოქმედებები, რომლებიც მ. ა.-ს სასარგებლოდ იყო მიმართული და მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით მ. ა.-ს სასარგებლო შედეგი არ დადგა, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა აღნიშნული თანხა გამოიმუშავა და შესაბამისად, ადვოკატ რ. რ.-ს მ. ა.-სათვის გაწეული სამართლებრივი მომსახურებით არ დაურღვევია კვალიფიციური მომსახურების, გამოუმუშავებელი ჰონორარისა და სახელმწიფო ბაჟის თანხის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №024/18 ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/